ლელოს ნომერში 8



- სტარტზეა ჯანმრთელობის კლუბი „ლილა“
- ლიდერობენ ბ. სპასკი და ბ. ლარსენი
- რეკორდები სარზენ და საწყლოსნო ბილიკებზე
- ბარსელონის მატჩზე ყველა 100.000 ბილეთი გაყიდულია



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-20 წელი.

№ 117 (2480) ◉ სამშაბათი, 16 ივნისი, 1964 წ. ◉ ფასი 3 კაპ.



გ. სალარაძე



ნ. გოგიბედაშვილი

# კიდევ ორი ჩემპიონი საქართველოდან

ბაქო, 15 ივნისი. (ტელეფონით ჩვენი კორ.). გუშინ დამთავრდა მოზარდთა საკავშირო ჩემპიონატი მძიმე, ქვემსუბუქ, ქვესაშუალო და ქვემძიმე წონებში.

უნდა ითქვას, რომ სსრ კავშირის პირველობის ბაქოს ნაწილი შედეგების მხრივ ერთგვარად მოულოდნელი აღმოჩნდა. პირველ რიგში ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ გამარჯვებულებმა ოთხი წონიდან სამში პირველად მოიპოვეს ჩემპიონის წოდება. მართალია ერთ მათგანს — მსოფლიო ჩემპიონ გ. სალარაძეს ოქროს მედლის მოპოვების „მორალური უფლება“ უდავოდ ჰქონდა, მაგრამ ორი დანარჩენისთვის (და მათი გულშემატკივრებისთვის) ეს წარმატება სასიამოვნო სიურპრიზი იყო. ასე თუ ისე, სამმა მოჭიდავემ ჩემპიონის ტიტული პირველად მოიპოვა. ეს, რა თქმა უნდა, სასიხარულო ფაქტია.

მძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონს იბრაჰიმოვს ერევნელ დ. მუშეღიანთან ბედი არ წყალობდა. ამ მხრივ გამონაკლისს არც ბაქოს ტურნირი წარმოადგენდა. იბრაჰიმოვმა „კანონიერად“ წაიბორძიკა საბედისწერო მომენტში და გამარჯვება მუშეღიანს ჩააბარა, თუმცა, შემდეგში ერევნელს ფინალში გასასვლელად ეს მოგება არ ეყო და მსოფლიო ჩემპიონს „მუშეღიანის ქულები“ მოეხსნა.

ამბობენ, ჩემპიონი მხოლოდ ერთხელ [illegible]. ეს რომ ასეა, იბრაჰიმოვმა მომდევნო შეხვედრაში დაამტკიცა. გადამწყვეტ ბრძოლაში მან მოსკოველ ტიმოხინს [illegible] მოუგო, კიეველ ჩუმაკოვს კი წმინდად (55 წამში) დაამარცხა და პირველობა გაინაღდა.

მას შემდეგ, რაც ბაქოელმა ისმაილოვმა (ქვემსუბუქი წონა) ფინალური ბრძოლა ესტონელ ედელასთან ფრედ დაამთავრა, პირველი ადგილის მოსაგებად მას აუცილებლად უნდა დაემარცხებინა ტუგანოვი (კიევი). ახალგაზრდა მოჭიდავემ ეს ამოცანა წარმატებით გადაჭრა და პირველად მოიპოვა ოქროს მედალი. ამ წონაში IV ადგილი ქართველიძემ დაიკავა, ხოლო V — მარტყოფლიშვილმა.

მსოფლიო ჩემპიონმა სალარაძემ (ქვესაშუალო წონა) პირველი ადგილი ადრევე გაინაღდა. მინსკელ აქსიონოვთან დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ (საჯარიმო ქულათა შეფარდება 3:0) მან გულდამშვიდებით გადაინაცვლა მაყურებელთა ტრიბუნაზე. ოქროს მედლის პატრონი უკვე [illegible] ... ადგილი მას ერგო.

ფინალების დღეს გოგიბედაშვილი (ქვემძიმე წონა) ხალიჩაზე ორჯერ გამოვიდა. ჯერ მან მცირე უპირატესობით მოუგო ბარუკაევს (ტამბოვი), ხოლო შემდეგ მინსკელ ლისაფინს. ეს გამარჯვებები საკმარისი გამოდგა გოგიბედაშვილის ასასვლელად გამარჯვებულთა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

მოგვყავს საბოლოო ადგილების განაწილება: **მძიმე წონა** — 1. ა. იბრაჰიმოვი (ბაქო), 2. ა. ტიმოხინი (მოსკოვი), 3. ვ. ჩუმაკოვი (კიევი).

**ქვემსუბუქი წონა** — 1. რ. ისმაილოვი (ბაქო), 2. ი. ედელი (ტალინი), 3. ტ. ტუგანოვი (კიევი).

**ქვესაშუალო წონა** — 1. გ. სალარაძე (თბილისი), 2. ნ. აქსიონოვი (მინსკი), 3. ტ. ასლამაზიშვილი (თბილისი).

**ქვემძიმე წონა** — 1. ნ. გოგიბედაშვილი (თბილისი), 2. ბ. ბარუკაევი (ტამბოვი), 3. ს. ლისაფინი (მინსკი). სენსაციად შეიძლება ჩაითვალოს ხალხთა III სპარტაკიადის ჩემპიონის ა. აიხანოვის (ყაზახეთი) IV ადგილი.

## 400-დან 390

**ბუქარესტში** გამართულ ტყვიით მსროლელთა საერთაშორისო შეჯიბრებაში გამარჯვებისთვის იბრძოდნენ საბჭოთა კავშირის, რუმინეთისა და იტალიის საუკეთესო სპორტსმენები.

მცირეკალიბრიანი შაშხანიდან 50 მეტრზე ჩოქით სროლაში წარმატებით გამოვიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი შ. ქველიაშვილი. მან 400 შესაძლებლიდან 390 ქულა მოაგროვა და პირველი ადგილი მოიპოვა.

საბჭოთა სპორტსმენები საერთაშორისო მატჩის ჩასატარებლად მალე ფინეთში ჩავლენ.

## ოთხთა ტურნირი

### გამარჯვება ბოლო პერიოდში

**ბათუმი**, 15 ივნისი. (ტელეფონით ჩვენი კორ.). როგორც ცნობილია, აქ წვრთნას გადის ჩვენი ქვეყნის წყალბურთელთა ოლიმპიური ნაკრები. ჩვენს ქალაქში არიან აგრეთვე „დინამოს“, პროფკავშირებისა და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გუნდები.

და აი, გუშინ დაიწყო ოთხთა ტურნირი. „სპარტაკის“ საცურაო აუზში პირველად ერთმანეთს შეხვდნენ „დინამოსა“ და პროფკავშირების ნაკრები კოლექტივები. ანგარიში გახსნა სომოვმა (პროფკავშირები), მერე მეორე ბურთი გაიტანა მისმა თანაგუნდელმა ბროტკომ. 2:0.

მხოლოდ ამის შემდეგ შეძლეს დინამოელებმა ინიციატივის ხელში აღება. მათ მიერ წამოწყებული ერთ-ერთი კომბინაცია მიმინოშვილის ზუსტი ტყორცნით დამთავრდა. სულ მალე მშვენიერაძემ აღადგინა წონასწორობა — 2:2. უკანასკნელ პერიოდში, როცა ანგარიში კვლავ ფრე (3:3) იყო, განხორციელდა მიმინოშვილ — მშვენიერაძის კომბინაცია და „დინამომ“ გაიმარჯვა — 4:3.

მეორე მატჩში ითამაშეს ოლიმპიური გუნდისა და შეიარაღებული ძალების წყალბურთელებმა. ანგარიში მხოლოდ მეორე პერიოდში გაიხსნა: ჩიქვანაიამ კარგად გამოიყენა 4-მეტრიანი საჯარიმო. მართალია, არმიელებმა საპასუხო ბურთი გაიტანეს, მაგრამ დარჩენილ დროში ოლიმპიელებმა — ნოვიკოვმა და შიდლოვსკიმ გაიტანეს 2 ბურთი. მატჩი მოიგეს ოლიმპიელებმა — 3:1.

● **ჰელსინკი.** აქ დამთავრდა თანამედროვე ხუთჭიდელთა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც ორმაგი გამარჯვება მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა: ყველას აჯობეს გუნდურ ჩათვლაში (14.192 ქულა) და პირად ასპარეზობაშიც. პირველი ადგილი პირად ჩათვლაში დაიკავა ა. მოკეევმა — 5.010, მეორე ადგილზეა ე. სდობნიკოვი — 4.991. მესამე ადგილი წილად ხვდა ფინელ კ. ვანხალას — 4.681 ქულა.

● **ვიტებსკი.** 9 ბელორუსელმა პარაშუტისტმა (გ. ევსეიჩიკი, პ. ოსტროვსკი, გ. ჩერეპოვიჩი, ს. ტროცკი, ვ. არშტიკაიტისი, ვ. იევლევი, ვ. ბოკოვი, ვ. ბუტკიავიჩუსი, მ. სმოლენკოვი) დღისით 2.000 მეტრიდან ზუსტ დაშვებაში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 3.07 მ.



● **დასავლეთ ბერლინი.** აქ გამართულ მძლეოსანთა შეჯიბრებისას იაპონელმა სპრინტერმა ხიდეო იიძიმამ 100 მ გაირბინა 10,1 წამში. ასეთი შედეგი უკანასკნელ ორ წელიწადში არავის უჩვენებია მსოფლიოში.

● **შვეცია.** 15 ივნისი. გუშინ „დევისის თასის“ მეოთხედფინალში (ევროპის ზონა) გავიდა შვეციის გუნდი, რომელმაც დაამარცხა იტალიის ჩოგბურთელთა ნაკრები. შვედებს გამარჯვება მოუტანა შმიდტის მოგებამ ტაკინისთან შეხვედრაში.



სურათზე: ლენტეხელი ც. ლიპარტელიანი, რომელმაც მოსწავლეთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე პირველი ადგილი დაიკავა შუბის ტყორცნაში.
ფოტო ი. იუნაევისა.

კრივი ■ ჭიდაობა ■ სროლა ■ კალათბურთი

ფეხბურთი ■ მძლეოსნობა ■ ტანვარჯიში ■ ჭადრაკი

ჩოგბურთი ■ წყალბურთი ■ ცურვა

# პირველად საქართველოში:

## საცხოვრებელი მასივის ჯანმრთელობის კლუბი!

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნამდვილი სადღესასწაულო განწყობილება სუფევდა. გასულ კვირადღეს, 14 ივნისს, ჩვენი დედაქალაქის 1-ლი მაისის რაიონის დიღმის საცხოვრებელ მასივში. მარტო ქუჩები, საცხოვრებელი სახლები და სპორტული მოედნები როდი იყო მორთული საზეიმოდ! ხალისიანი, სადღესასწაულო იერი ჰქონდა მასივის ყველა მცხოვრებს — დიდსა თუ პატარას.

მოვლენა კი მართლაც ღირსშესანიშნავი იყო. ჩვენს რესპუბლიკაში პირველად შეიქმნა მთელი საცხოვრებელი მასივის ჯანმრთელობისა და დასვენების სახალხო კლუბი, რომელსაც ლამაზი და მრავლისმეტყველი სახელი ეწოდა — „დილა"... შეიქმნა მხოლოდდამხოლოდ საზოგადოებრივ საწყისებზე!

პირველად გამოვიდნენ დიღმის მასივის ფართო, ასფალტიან ქუჩებში ფიზკულტურელთა მწკრივები და მთელი „ქალაქის" გავლით, ნაირფერი დროშების ფრიალით, გაემართნენ ცენტრალური სპორტული ბაზებისკენ, რომლებიც ასევე მთლიანად საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა, ადგილობრივ მცხოვრებთა ხელით.

მასივის ჯანმრთელობის კლუბის შექმნაში და მასთან დაკავშირებით გამართული სპორტული ღონისძიებების მოწყობაში ადგილობრივ მკვიდრთ დახმარების ხელი გაუწოდა დედაქალაქის ფართო საზოგადოებრიობამ, პარტიის რაიონულმა კომიტეტმა, რესპუბლიკურმა და საქალაქო სპორტკავშირებმა. 14 ივნისს ამ დაწესებულებათა ხელმძღვანელებიც ეწვივნენ მასივის ფიზკულტურელებს და მათთან ერთად მიიღეს მონაწილეობა ზეიმში.

**შ. ჯუღელი**

* * *

სურათზე: ფიზკულტურელთა მწკრივები მასივის ქუჩებში.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# მიზეზი:

## მოუმზადებლობა, უპასუხისმგებლობა და გულგრილობა

მაისის დამლევს კიშინიოვში გაიმართა ამიერკავკასიისა და მოლდავეთის რესპუბლიკების მძლეოსანთა მორიგი ტრადიციული სამატჩო შეხვედრა. ეს წერილი შეჯიბრების ტექნიკური შედეგების გადმოცემას არ ისახავს მიზნად, არამედ ჩვენი გუნდის წარუმატებლობის მიზეზების საამშკარაოზე გამოტანას. და საერთოდაც, კარგა ხანია მომწიფდა იმის საჭიროება, რომ გულახდილად ვილაპარაკოთ რესპუბლიკაში მძლეოსნობის დღევანდელ მდგომარეობაზე.

სპორტის მოყვარულებს დამარცხებულთა სანუგეშებლად ხშირად უყვართ თქმა: „მოგება და წაგება ძმები არიანო". მივესალმებით სამატჩო შეხვედრაში აზერბაიჯანელთა გამარჯვებას და მხოლოდ წაგებისთვის არ გავკიცხავდით საქართველოს სპორტსმენებს, რომ ეს დამარცხება კანონზომიერი ყოფილიყო, რომ კოლექტივის ხელმძღვანელობას, მის წევრებს ამოეწურათ შესაძლებლობათა მაქსიმუმი.

დიდი ხნის ისტორია აქვს ამგვარ სამატჩო შეხვედრებს და თუ საერთო ანგარიშს გავიხსენებთ, იგი აშკარად მეტყველებს ჩვენი მძლეოსნების უდავო უპირატესობაზე. ისინი უკანასკნელ წლებამდე გამარჯვებულნი გამოდიოდნენ (ორიოდე შემთხვევის გარდა). ასე იყო გასული წლის მატჩშიც. წარსულში გამარჯვებას სჭედდა მთელი კოლექტივის — მწვრთნელებისა და სპორტსმენების სანაქებო მონდომება — წარმატებით დაეცვათ საქართველოს სპორტული ღირსება.

წელს კი...

როგორც მდინარეს ავსებენ ნაკადულები, ისე გუნდის ძალას სპორტსმენთა, მწვრთნელების მონდომება, საერთო შრომა და მეგობრული დამოკიდებულება ქმნის. ეს, სამწუხაროდ, ამჟამად ნაკლებად იგრძნობა საქართველოს მძლეოსანთა კოლექტივში. სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადის შემდეგ გუნდში უფრო გაღრმავდა მანამდე წარმოქმნილი ბზარი, შეიქმნა დაჯგუფებანი. მთელ რიგ შემთხვევებში დაიკარგა წვრთნის ინტენსიურობა. კოლექტიური შრომის ნაცვლად მწვრთნელთა ნაწილი გაიტაცა ინტრიგებმა. ამის გამო კი საქმე — მატჩისთვის გუნდის დაკომპლექტება — საკმაოდ გვიან მოაგონდათ, ამასთან, გუნდის ხელმძღვანელებს თავიანთ ზურგზე უხდებოდათ მთელი სიმძიმის გადატანა. ამით განაწყენებულებმა, მათაც დაჰკარგეს ზომიერების ტაქტი, ანგარიში არ გაუწიეს მწვრთნელთა საბჭოს რეკომენდაციებს და გუნდში თვითნებურად შეცვალეს რამდენიმე ახალგაზრდა სპორტსმენი, რომლებმაც შერჩევით შეჯიბრებებზე დაიმსახურეს გუნდის ინტერესების დაცვა. ეს მავნე პრაქტიკა გაგრძელდა შეჯიბრების ადგილზეც, კიშინიოვში, სამწუხაროდ, სტარტების წინაც კი (100 მეტრზე ვაჟთა რბენა).

არც შერჩევითი ღონისძიებანი გამართულა მაღალ დონეზე. თავის ძალებში დარწმუნებულმა სპორტსმენთა ნაწილმა თავი აარიდა მას. გუნდის ხელმძღვანელობას კი გადამჭრელი ღონისძიება არ გაუტარებია, დამნაშავენი არ დაუსჯია.

მზადებაში ნაკლოვანებანი შეჯიბრებამდე იგრძნობოდა. დროულად შეიძლებოდა ხარვეზების დაძლევა. იყვნენ მრჩეველნიც, მაგრამ იოლ გამარჯვებაში დარწმუნებულ კოლექტივსა და მის ხელმძღვანელობას არაფრის გაგონება არ სურდა.

სპორტსმენების ერთი ჯგუფი არ ხედავდა მაორგანიზებელ ხელს და პასუხისმგებლობასაც არ გრძნობდა. მათ შემცვლელთა ძიება კი გამგზავრების წინა დღეებში მოუხდათ, რის გამოც გუნდში მოხვდნენ მსჯავრდადებულნი. ლ. თოფჩიშვილმა არ ინება გუნდის ინტერესების დაცვა. მისი შეცვლა მიენდო ლ. კოტოვას, რომელმაც უდისციპლინობით ჯერ კიდევ ხალხთა III სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში „ისახელა" თავი.

ასეა თუ ისე,. მძლეოსნები კიშინიოვში გაემგზავრნენ ცუდად ორგანიზებული კოლექტივით და ნაყოფიც სათანადო მოიმკეს. გუნდის დემორალიზება უფრო ხელშესახები გახდა იქ, ადგილზე. წვრთნას, აკლიმატიზაციას მძლეოსანთა ნაწილმა მაღაზიებში ხეტიალი და ვაჭრობა ამჯობინა. არღვევდნენ რეჟიმს, თანაცხოვრების წესებს. კარტის თამაშში შემჩნეული იქნენ ა. შჩერბინა, ო. ხოლოდოკი, ი. სანგულია და ლ. შაგოვი. უფროსი ამხანაგებისაგან ცუდი მაგალითი აიღეს ნაკრების ახალმა წევრებმა ვ. ლანჩავამ, ი. კოზელსკიმ, ვ. ჩიტაიშვილმა, რისთვისაც ისინი ორჯერ იქნენ გაფრთხილებულნი.

შეჯიბრების დროს ჩვენი სპორტსმენები ამჟღავნებდნენ თანაგუნდელთა გამოსვლებისადმი სრულ უპატივცემლობას. ღონისძიებიდან „თავისუფალნი" ამხანაგებისათვის რჩევა-დარიგების მიცემის, ტრიბუნებიდან მათი გამხნევების ნაცვლად სტადიონის გარეთ ყოფნასა და დროსტარებას ამჯობინებდნენ.

ყოველივე ამის გამო იყო, რომ გუნდმა გამარჯვება „დაუთმო" აზერბაიჯანის უკეთესად ორგანიზებულ კოლექტივს. მართალია, წაგება 1,5 ქულაში გამოიხატა, მაგრამ იყო პერიოდი, როცა ჩვენი ნაკრები საერთო ჩათვლაში 29 ქულით ჩამორჩებოდა ლიდერს და ისევ რ. შავლაყაძის, თ. მდივნის, ი. დიაჩკოვის, რ. ქვაჩაკიძის, ლ. იევლევას და ზოგიერთ სხვათა მონდომებულმა შრომამ და მისაბაძმა მოწადინებამ იხსნა გუნდი სამარცხვინო წაგებისგან.

შედარებით სუსტი შემადგენლობის მიუხედავად, მაინც შეიძლებოდა ტრადიციის შენარჩუნება — მატჩის მოგება. ჩვენი მძლეოსნები სწორედ აზერბაიჯანთან აგებდნენ გასული წლის სამატჩო შეხვედრასაც, მაგრამ მონოლითურობამ, მონდომებამ გამარჯვების სასწორი საბოლოოდ მათ მხარეს გადახარა. ამჯერად კი ამას ადგილი არ ჰქონდა.

შეჯიბრებაში გამარჯვებული გუნდის წევრებმა 17 პირველი ადგილი მოიპოვეს, ჩვენმა სპორტსმენებმა — 12. მაგრამ საქმე ადგილები როდია. დასანანია, რომ ჩვენი რესპუბლიკის ბევრი მაღალთანრიგოსანი სპორტსმენი კიშინიოვში II და III თანრიგების შედეგებით და უკანასკნელი ადგილებით დაკმაყოფილდა. ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს გ. ზრაჟევსკაიას (400 მ), რ. გოგეშვილის (20 კმ სპორტული სიარული), ა. ოვივიანისა და ნ. სოლოვიოვას (200 მ) მესამე თანრიგის მაჩვენებლები, ხოლო ისეთი ოსტატები, როგორიც არიან ე. ლომთაძე, ა. ბედუკაძე, ლ. პატარიძე, ლ. შაგოვი, ვ. ჩხეიძე და სხვები, ძლივს შეწვდნენ მეორე თანრიგს.

რით შეიძლება აიხსნას ე. ლომთაძის (100 მ), ა. ანდრეევის (200 მ), ნ. თვაურის (800 მ) მიერ უკანასკნელი ადგილების მოპოვება, თუ არა სუსტი მომზადებითა და უპასუხისმგებლობით?!

გუნდის ინტერესები არად ჩააგდო ვ. რუკინმაც. მართალია, მან საკმაო ქულები მისცა ჩვენს გუნდს 3.000 მეტრზე წინაღობებით რბენაში, მაგრამ შემდეგ, 5.000 მეტრზე რბენაში, უღალატა კოლექტივს, მიმართა სიმულაციას და რბენა მიატოვა მაშინ, როცა მას საპრიზო ადგილის მოპოვების ყველა შანსი ჰქონდა (მაშინ საერთო ჩათვლაშიც გაიმარჯვებდა კოლექტივი!).

მიუტევებელია უროს მტყორცნელ ო. ართილაყვას საქციელიც. ჩვენი რესპუბლიკის ნაკრების მეორე ნომერი არ ემორჩილებოდა გუნდის ხელმძღვანელებს, თვითნებობდა, პირადული ამბებით იყო დაკავებული.

კოლექტივის წევრთა—მწვრთნელების, სპორტსმენთა ხრაჯანსაღი დამოკიდებულების, ურთიერთ უპატივცემლობის ფაქტები გამოვლინდა თბილისში დაბრუნების შემდეგაც. მოწვეულ იქნა მწვრთნელთა და სპორტსმენთა საერთო კრება, ხოლო შემდეგ მძლეოსნობის რესპუბლიკური ფედერაციის სხდომა. აქ უნდა განეხილათ სამატჩო შეხვედრის შედეგები, დაესახათ მომავლის გზები. სამწუხაროდ, ღონისძიებაზე მოსვლას ბევრმა თავი აარიდა, რის გამო როგორც კრება, ისე ფედერაციის სხდომა საგრძნობი დაგვიანებით დაიწყო.

კრებაზე გამოცხადდა სპორტსმენთა მხოლოდ მესამედი. და მაინც, მოსალოდნელი იყო, რომ კრებაზეც და სხდომაზეც გაიმართებოდა ჯანსაღი, საქმიანი საუბარი, დამსწრენი ილაპარაკებდნენ გულახდილად, ამხელდნენ საკუთარ შეცდომებს. სინამდვილეში კი სპორტსმენები თავის მართლებას შეეცადნენ.

ფედერაციამ ნაკრების შემადგენლობიდან გამოიყვანა ო. ართილაყვა, ვ. რუკინს გამოეცხადა სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით, სპორტსმენთა ნაწილს მიეცა გაფრთხილება. რედაქციას ეს ზომები მეტად ლმობიერად მიაჩნია, მით უმეტეს. რომ ყველაფერი მხოლოდ სპორტსმენთა ზურგზე გადატყდა, ხოლო მწვრთნელები, რომელთა სპორტსმენებიც არიან დამნაშავენი გუნდის დამარცხებაში (ვ. ვაშაკიძე, ზ. დიაჩკოვი, ა. ლაკერბაი, ა. კერსელიანი, ვ. ნედაშკოვსკი და სხვ.), ამჯერადაც „მშრალად" ამოვიდნენ „წყლიდან". იქნებ მხოლოდ სპორტსმენები არ არიან დამნაშავენი მატჩზე დაბალი შედეგების ჩვენებაში?

რესპუბლიკის მძლეოსნების ნაკრების შემდგომი გაძლიერების, მწვრთნელთა, სპორტსმენთა შორის ჯანსაღი, მეგობრული დამოკიდებულების განმტკიცების, დაჯგუფებათა მოსპობის და, საერთოდ, ამ მასობრივი სახეობის აღმავლობის უზრუნველსაყოფად აუცილებელი გახდა საქმეში რესპუბლიკის სპორტკავშირის ხელმძღვანელთა ჩარევა.



**ტანმოვარჯიშე** გოგონათა ასპარეზობა ორ დღეს გაგრძელდა. სატურნირო ცხრილში შეივსო ყველა უჯრა, გაირკვა ადგილები. გუნდური პირველობა 406,285 ქულით დაისაკუთრა თბილისის I ნაკრებმა. მეორე ადგილზე არიან ქუთაისის (402,49 ქულა), ხოლო მესამეზე — აფხაზეთის წარმომადგენლები (368,049).

მეორე ჯგუფში ადგილები ასე განაწილდა: 1. გორი (225,978 ქულა), 2. სამტრედია (215,425), 3. რუსთავი (207,658).

საინტერესოდ წარიმართა პირადი ასპარეზობა ოსტატთა პროგრამით. აქ თავი მოიყარეს ისეთმა ძლიერმა სპორტსმენებმა, როგორიც არიან ქუთაისელები რუსუდან განუგრავა და ნანი ბაბუნაშვილი, თბილისელი მანანა დავითაშვილი, გორელი ეკატერინე მუკნიაშვილი. ძირითადად ეს ოთხეული იბრძოდა სპარტაკიადის ჩემპიონის საპატიო ტიტულისთვის.

სავალდებულო ვარჯიშების შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო განუგრავამ, რომელმაც აქტივში ჩაიწერა 37,4 ქულა. ქუთაისელ ტანმოვარჯიშეს მხოლოდ 0,3 ქულით ჩამორჩებოდა თბილისელი დავითაშვილი და საქართველოს გასული წლის ჩემპიონი მუკნიაშვილი (37 ქულა).

თუ ვის გაუღიმებდა გამარჯვების ფორტუნა, დამოკიდებული იყო დასკვნით, მეორე დღეზე. და აი, დაიწყო მეორე ეტაპი — ვარჯიშები ნებისმიერი პროგრამით. იარაღებზე ერთმანეთს ცვლიდნენ მოქიშპენი. უკან დარჩა დვირი, ბჯენითი ხტომები, თავისუფალი ვარჯიში, ორძელი... შეჯამდა შედეგები... გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე ადიან რ. განუგრავა (I ადგილი), რომელმაც მრავალჭიდის ჯამში დააგროვა 75,15 ქულა, მ. დავითაშვილი (II ადგილი, 74,7) და ე. მუკნიაშვილი (III ადგილი, 74,6).

... კვარცხლბეკიდან კვლავ გვიღიმიან ახლა უკვე სხვა სპორტსმენები: ოსტატობის კანდიდატთა შორის გამარჯვებული ელენე ბიგოლიუბოვა, ოლღა ევსეევა და ტატიანა კოლოკოლოვა (ყველანი — თბილისიდან), რომლებმაც შესაბამისად დაიკავეს I, II და III ადგილები.

პირველთანრიგოსანთა შორის უძლიერესი იყო ლამარა გათენდაშვილი (ქუთაისი), ხოლო II თანრიგში — მზია სტეფანიშვილი (გარდაბანი).

# XVI ტრადიციული...



მოსწავლე ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრებაზე ლამაზი, რთული ვარჯიშებით ყველას ხიბლავდა ქუთაისელი რუსუდან განუგრავას გამოსვლები. მან დამსახურებულად გაიმარჯვა მრავალჭიდში და მოიპოვა მოსწავლეთა სპარტაკიადის ჩემპიონის საპატიო სახელი.

სურათზე თქვენ ხედავთ რუსუდანს დვირზე ვარჯიშისას.

ფოტო ი. იუნაევისა.

## ორი ახალი რეკორდი



**მძლეოსნობაში** ორი რესპუბლიკური რეკორდით აღინიშნა მოსწავლე სპორტსმენთა შეჯიბრების ბოლო დღე. უმცროსი ასაკის ჭაბუკთა ექვსჭიდში გამარჯვებულმა გ. არაშამიამ (აფხაზეთი) მოაგროვა 2.793 ქულა, რაც 53 ქულით აღემატება ო. მოსიკაშვილის ადრინდელ რეკორდს. ძველ მიღწევას 24 ქულით გადააჭარბა ვ. ჩალიმაც (თბილისის I გუნდი).

მეორე რეკორდის ავტორია ქუთაისელი გოგონა ჯ. ჩუბინიძე. მან ოთხჭიდის ჯამში შეძლო 119 ქულით გაეუმჯობესებინა ა. საფრანის ძველი მიღწევა. ახალი რეკორდი უდრის 2.906 ქულას.

# ტრადიცია უნდა გაგრძელდეს

სპორტი — ყველა სოფელში! ასეთი საკითხი დგას ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურული ცხოვრების დღის წესრიგში. როგორ დავაჩქაროთ ეს პროცესი? რა მეთოდები გამოვიყენოთ სპორტში სოფლის მოსახლეობის მისაზიდად?

ეს და მრავალი სხვა კითხვა დგას მათ წინაშე, ვინც სათავეში უდგას სოფლებში სპორტული მუშაობის ორგანიზაციის საქმეს.

ამ წერილში მოთხრობილია სოფლად სპორტის მასობრივი განვითარების ერთ-ერთი მეთოდის შესახებ, რომელსაც წარმატებით იყენებენ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ლაპარაკია სოფლებში დაუსწრებელი მძლეოსნური შეჯიბრებების ჩატარებაზე.

1959 წლიდან გდრ-ში ეწყობოდა ექსპერიმენტები, რომლებმაც დაამტკიცეს, რომ დაუსწრებელი შეჯიბრებანი ყველაზე მიზანშეწონილი ფორმაა. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაუსწრებელი მძლეოსნური პირველობანი იმართებოდა ამხანაგური სამატჩო შეხვედრების, რაიონული, საოლქო ან მთელი ქვეყნის ჩემპიონატების სახით. მარტო 1963 წელს აქ 6 დაუსწრებელი ღონისძიება გაიმართა მძლეოსნობაში. მასში 715 სოფლის 75.470-მა ფიზკულტურელმა მიიღო მონაწილეობა.

შეჯიბრებებში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მცხოვრებს, მაგრამ გუნდებს ეთვლება მხოლოდ საუკეთესო შედეგები ყველა ასაკობრივი ჯგუფიდან.

შეჯიბრების პროგრამაშია მძლეოსნური სამჭიდი: რბენა 60 ან 100 მეტრზე, ბირთვის კვრა ან ბადროს ტყორცნა და სიგრძეზე ხტომა.

ყველა მონაწილისთვის სავალდებულოა სიგრძეზე ხტომა. შეჯიბრება ტარდება გამარტივებული წესით. სარბენი ბილიკი იხაზება მინდორზე ან გზაზე. იზომება ნახტომის რეალური სიგრძე, ე. ი. ფეხის წვერის ანაბეჭდიდან ქუსლის კვალამდე დახტომის შემდეგ. შედეგების შეფასება ხდება სპეციალურად შემუშავებული ცხრილების მიხედვით.

„კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს ინიციატივით ასეთი შეჯიბრება დიდი ხანია ტარდება საქართველოშიც. იგი ეწყობა სამ ეტაპად: პირველი ეტაპი — შეჯიბრება სოფლის სკოლებს შორის, მეორე ეტაპი — რაიონების პირველობა სოფლის სკოლებს შორის, მესამე ეტაპი — ფინალური ტურნირი, რომელშიც მონაწილეობს რესპუბლიკის 10 საუკეთესო სკოლა და რაიონების სოფლის სკოლების ნაკრები გუნდები.

სწორედ ამგვარმა პირველმა შეჯიბრებამ გამოავლინა ნიჭიერი სპორტსმენები, ამჟამად სპორტის ოსტატი და სსრკ ოლიმპიური ნაკრები გუნდის კანდიდატი გ. გუდაშვილი (დუშეთის რაიონის სოფ. ჩარგალი), სპორტის ოსტატი ქ. გორძემაშვილი (დუშეთის რაიონის სოფ. კობიაანთ კარი), საქართველოს რეკორდსმენი 400 მ თარჯრბენში ჯ. სხულუხია (ზუგდიდის რაიონი) და ათამდე სხვა მძლეოსანი, რომლებიც საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში შედიან.

17-19 ივნისს, თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ჩატარდება სოფლის სკოლების მორიგი რესპუბლიკური პირველობა მძლეოსნობაში. გამოვლინებულ ნიჭიერ ახალგაზრდობას საშუალება ექნება სწავლა გააგრძელოს თბილისის მეორე სკოლა-ინტერნატში.

ამას წინათ მოლდავეთში გამართულმა სამატჩო შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაგვანახა ჩვენი რესპუბლიკის ნაკლოვანი მხარეები მძლეოსნობის განვითარებაში, სახელდობრ ის, რომ არა გვყავს ნიჭიერი, პერსპექტიული ცვლა და იგი უნდა მივიღოთ სწორედ სოფლად ფიზიკურ შრომაში გამოწრთობილი ახალგაზრდების რიგებიდან. ამიტომ, ამ ღონისძიებას შემდგომშიც დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს!

**რ. ტრაპაიძე,**
საქართველოს მთავარი მწვრთნელი მძლეოსნობაში.

# შთამბეჭდავი მინიატურა

## წერილი ამსტერდამიდან

მ. ტალის მოულოდნელი, მეხივით გამანადგურებელი კომბინაციის „მსხვერპლი“ ბევრი გამოჩენილი მოჭადრაკე გამხდარა. და მაინც, ზოგიერთებმა ვერ ისწავლეს ჭკუა. ისინი კვლავინდებურად ადვილად ებებიან „რიგელი ჯადოქრის“ ბადეში. ყველაზე მეტად ეს ითქმის ამერიკელ დიდოსტატ ბენკოზე. ალბათ გემახსოვრებათ, რომ პრეტენდენტთა 1959 წლის ტურნირზე ბენკო ტალთან დამარცხებებს რიგელის ჰიპნოზს მიაწერდა. შავ სათვალეებსაც კი იკეთებდა, რათა ტალის „არწივისებურ“ მზერას მასზე არ მოეხდინა გავლენა, მაგრამ ტალის იერიშებს თავი მაინც ვერ დააღწია.

და აი, ახლაც, ამსტერდამის საზონათშორისო ტურნირზე ბენკომ ვერ გაუძლო ტალს. დიდოსტატების აზრით, ქვემოთმოყვანილი მინიატურა აუცილებლად მონახავს ღირსეულ ადგილს წიგნში, რომელსაც „საჭადრაკო მახეები“ ერქმევა.

**მ. ტალი — პ. ბენკო**

კარო-კანის დაცვა

1. e4 c6 2. d4 d5 3. მc3 de 4. მ:e4 მd7.

ეს „მშვიდი“ გაგრძელება შავებისგან მოითხოვს ზედმიწევნით ზუსტ თამაშს.

5. კc4 მgf6 6. მg5 e6 7. ლe2 მb6 (თავიდან იცილებს f7 და e6 უჯრებზე მუქარებს) 8. კb3 h6 9. მ5f3 კe7 10. მh3 c5 (უკეთესი იყო როქი. c6-c5 გაგრძელება უკეთესი იქნებოდა მე-9 სვლაზე) 11. კe3 მbd5 12. 0—0—0.

შავები სიძნელეების წინაშეა. მუქარაა dc, აგრეთვე მe5 და g2—g4. და მაინც საჭირო იყო 12... 0—0 13. dc ლc7 საკმაო კონტრშანსებით.

12... მ:e3? 13. fe ლc7 14. მe5 a6 15. g4 კd6.

შავი მეფე დარჩა e8-ზე. ტალის იერიშისათვის უკეთესი ობიექტი არც უნდა. იწყება საინტერესო ტაქტიკური ბრძოლა.

16. g5! hg 17. მ:g5 კ: e5 18. de.



საინტერესო მდგომარეობაა, რომელშიც შავებს დაცვა 18... მd7 უნდა ეწარმოებინათ. ეფექტური კომბინაცია 19. მ:f7 მფ:f7 20. კ:e6+ გამოდიოდა მხოლოდ 20... მფ:e6? 21. ლg4+ შემთხვევაში. მაგრამ ჭადრაკი შაში ხომ არაა, შავებს შეუძლიათ არ აიყვანონ კუ — 20... მფe8! და მ:e5 მუქარის გამო იერიში უვნებელყოფილია. უკეთესია 19. ლf3! მ:e5 20. ლf4 მf3 ან მ:f7 მუქარით. ტალის ტაქტიკური მუქარებით შეწუხებული ბენკო ერთბაშად ებმევა მახეში.

18... ლ:e5? 19. ეd8+! (ყველაფერი დამთავრებულია. ეტლის აყვანას მოყვება მ:f7+) 19... მფe7 20. ე:h8 ლ:g5 21. ლd2 შავები დანებდნენ.

**ა. კონსტანტინოპოლსკი,**
საერთაშორისო ოსტატი.

## უკანასკნელ საათს!

ამსტერდამი. 15 ივნისს გაიმართა საზონათშორისო საჭადრაკო ტურნირის XIX ტური. სპასკიმ მოუგო ვრანეშიჩს, ლარსენმა — ბრონშტეინს, შტეინმა — ივკოვს, ხმისლოვმა — ევანსს, დარგამ — პორტიშს, ტრინგოვმა — კვინონესს. ტალ — როსეტოს, პახმან — რეშევსკის, ფოგელმან — ლენდიელის, პერეზ — ბენკოს პარტიები ყაიმით დამთავრდა.

14 ივნისს რეშევსკიმ თამაშის განუახლებლად დათმო თავისი გადადებული პარტია სპასკისთან.

19 ტურის შემდეგ, ტურნირის ლიდერებს — სპასკისა და ლარსენს 15-15 ქულა აქვთ.

II ჯგუფის II ქვეჯგუფი

# თუ კოლექტივი მოინდომებს

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 14 ივნისი.

„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი) 5:1 (1:1).

„ტრაქტორი“: იადროვი, ზუბკოვიჩი, დონჩენკო, იანინი, მარკინი, გოვორუნი, ბორზენკო, ჩირკოვი, ტიმოხინი, დოლბაია (ქაროვი), შირიაშკინი.

„ლოკომოტივი“: რუხაძე, ჩხაიძე, ჩუბინიძე, წოწელია, კიზირია, იაშვილი, შაფათავა, აპრესიანი, მიროშნიკოვი, ახალკაცი, კოშკელოვი.

მსაჯი ა. ბუტენკო (ხარკოვი).

პირველი, რაც უნდა ითქვას განვლილი მატჩის მნიშვნელობაზე, ეს ისაა, რომ „ტრაქტორი“ ლიდერთა სამეულში შედის და ამიტომ მასთან ბრძოლა თბილისელთათვის საკმაოდ რთულ პრობლემას წარმოადგენდა. მართალია, როცა თამაში დამთავრდა, ლოკომოტიველები სრული გამარჯვებულების როლში ტოვებდნენ მინდორს, მაგრამ წარმატების „სტარტი“ არ იყო ისე ილი, როგორც მისი „ფინიში“ გამოდგა.

ყველაფერი დაიწყო იმით, რომ სტუმრებმა მატჩის პირველივე წუთებზე მიაღწიეს წარმატებას. ტიმოხინმა და ჩირკოვმა მოულოდნელად, სწრაფად გაითამაშეს თავისუფალი დარტყმა, რუხაძემ ვერ მოასწრო სწორი პოზიციის დაკავება და ბურთი კარის ბადეში აღმოჩნდა. ამ მარცხმა კარგა ხნით არეულობა შეიტანა „ლოკომოტივის“ რიგებში. თავდასხმაში პასიურობდა ახალკაცი, მეტოქე მცველთან შებმას აშკარად გაურბოდა კოშკელოვი, უსისტემოდ მოქმედებდნენ ნახევარმცველები იაშვილი და მიროშნიკოვი.

ასე გაგრძელდა 30-ე წუთამდე, როცა „ტრაქტორის“ მცველებმა უხეშად წააქციეს მეკარესთან პირისპირ გასული კოშკელოვი. აპრესიანმა ზუსტად გამოიყენა პენალტი — 1:1.

კიდევ უფრო უკეთესად, კოლექტიურად მოქმედებდა „ლოკომოტივი“ შესვენების შემდეგ. იგრძნობოდა მოთამაშეთა მონდომება და ერთსულოვნება, რამაც საბოლოოდ გამოხატულება ჰპოვა ძლიერი მეტოქის დიდი ანგარიშით დამარცხებაში.

რამდენიმე გამოუყენებელი მომენტის შემდეგ აპრესიანმა და შაფათავამ გაითამაშეს ძალიან მახვილგონივრული კომბინაცია, რომელიც აპრესიანის მიერ გატანილი გოლით დამთავრდა — 2:1. 33-ე წუთზე ახალკაცმა მიიღო გადაცემა მარჯვენა ფლანგიდან, გაიმარჯვა მეკარესთან უშუალო, პირისპირ ბრძოლაში და ანგარიში აიყვანა 3:1-მდე.

მატჩის შემდგომი მსვლელობა მთლიანად თბილისელთა „კარნახით“ მიმდინარეობდა. მიროშნიკომა კარგად გამოიყენა კუთხური მოწოდება, ხოლო შეხვედრის დასასრულს ორი გარემარბის — შაფათავასი და კოშკელოვის სწრაფი იერიში დამთავრდა ამ უკანასკნელის მიერ გატანილი კიდევ ერთი ბურთით.

„ლოკომოტივმა“ ერთობ დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწია ლიდერთან მატჩში — 5:1.

**ზ. ქორიძე**

## უკანასკნელ საათს!

მოსკოვი, 15 ივნისი. დღეს აქ დაიწყო საერთაშორისო „სამთა ტურნირი“ ფეხბურთში ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის პრიზზე. პირველ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ჩვენი ქვეყნის ოლიმპიური გუნდი და ახალგაზრდული ნაკრები. გაიმარჯვეს ოლიმპიელებმა — 2:0. ბურთები გაიტანეს კრასნიცკიმ და სევიდოვმა. ოლიმპიურ ნაკრებში თამაშობდა მ. ხურცილავა.

18 ივნისს გაიმართება მეორე მატჩი — „ჰაიდუკი“ (იუგოსლავია) — სსრ კავშირის ოლიმპიური გუნდი.

# „ა“ კლასი

კიევი. ხანგრძლივი შესვენების შემდეგ უკრაინის დედაქალაქში განახლდა სსრ კავშირის ჩემპიონატის გათამაშება ფეხბურთში. განვლილ კვირას აქ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო“ და ალმა-ატის „კაირატი“.

მატჩი დამთავრდა კიევის დინამოელთა გამარჯვებით — 3:1. ბურთები გაიტანეს: ალმაატელმა აბგოლცმა (მე-8 წუთზე), კიეველებმა — სერებრიანიკოვმა (მე-11 წ.) და ბაზილევიჩმა (მე-15 და 53-ე წ.).

დონეცკი, 15 ივნისი. ადგილობრივმა „შახტიორმა“ ანგარიშით 3:0 დაამარცხა კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“. ბურთები გაიტანეს ანანჩენკომ (2) და როდინმა.

I ჯგუფი

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 16 ივნისისთვის

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შახტიორი“ | 11 | 6 | 4 | 1 | 15—4 | 16 |
| „დინამო“ (კ) | 11 | 4 | 5 | 2 | 12—9 | 13 |
| „სპარტაკი“ | 10 | 5 | 2 | 3 | 11—4 | 12 |
| სკა (როსტოვი) | 10 | 6 | 0 | 4 | 15—8 | 12 |
| „ტორპ.“ (მ) | 9 | 5 | 2 | 2 | 14—8 | 12 |
| „დინამო“ (თბ) | 10 | 5 | 2 | 3 | 14—9 | 12 |
| „ნეფტიანიკი“ | 11 | 3 | 5 | 3 | 8—11 | 11 |
| „ვოლგა“ | 11 | 3 | 5 | 3 | 7—11 | 11 |
| ცსკა | 9 | 3 | 4 | 2 | 6—7 | 10 |
| „კაირატი“ | 12 | 3 | 4 | 5 | 11—14 | 10 |
| „დინამო“ (მნ) | 8 | 3 | 3 | 2 | 6—5 | 9 |
| „კრ. სოვეტ.“ | 11 | 2 | 5 | 4 | 4—10 | 9 |
| „დინამო“ (მ) | 8 | 3 | 2 | 3 | 11—8 | 8 |
| „მოლდოვა“ | 10 | 3 | 2 | 5 | 4—9 | 8 |
| „ზენიტი“ | 9 | 2 | 2 | 5 | 10—12 | 6 |
| „ტორპ.“ (ქ) | 11 | 2 | 2 | 7 | 5—18 | 6 |
| „შინიკი“ | 9 | 1 | 3 | 5 | 6—12 | 5 |



ხურათზე: მომენტი განვლილი მატჩიდან რუსთავის „მეტალურგსა“ და კავმინვოდის „შრომით რეზერვებს“ შორის.

ფოტო რ. გაბრიჭიძისა.

## „დინამო“ (ბათუმი) — „დინამო“ (სოხუმი) 1 : 0 (0 : 0)

ბათუმი, 15 ივნისი. (ტელეფონით ჩვენი კორ.). გუშინ აქ გაიმართა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში რსფსრ-ს „ბ“ კლასის IV ზონის გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი და სოხუმის „დინამოს“ თანაკლუბელთა გუნდები.

გათამაშების ლიდერმა — ბათუმის „დინამომ“ შესამჩნევი ტერიტორიული უპირატესობით ჩაატარა მატჩი, მაგრამ სოხუმელი ფეხბურთელები ღირსეულად იგერიებდნენ მეტოქის ხშირ იერიშებს.

პირველი სახიფათო მომენტი სტუმრების კართან უკვე მე-5 წუთზე შეიქმნა, მაგრამ ურუშაძემ ვერ გამოიყენა დანელიას კარგი გადაცემა და ბურთი კარს ააცილა. 36-ე წუთზე მასპინძელთა ცენტრალურმა მცველმა ჯოხაძემ ღრმა რეიდი შეასრულა მოპირდაპირე საჯარიმო მოედნისკენ და ზუსტად გადასცა ბურთი ურუშაძეს, მაგრამ სოხუმელთა კარი ხიფათისგან იხსნა მეკარე პაპასკირმა. ტაიმის ბოლოს ანგარიშის გახსნის შანსი ჰქონდა სტუმრების ნახევარმცველ ზუხბაიას, მაგრამ მისი საბოლოო დარტყმა უზუსტო გამოდგა.

დაძაბული ბრძოლით აღინიშნა მეორე ტაიმიც. ერთადერთი ბურთი, რომელმაც ბათუმის „დინამოს“ გამარჯვება მოუტანა, გაიტანა დანელიამ.

ბათუმის „დინამო“ ზონაში კვლავინდებურად ინარჩუნებს ლიდერობას (15 ქულა 10 თამაშის შემდეგ).

## „მეტალურგი“ (რუსთავი) — „შრომითი რეზერვები“ (კავმინვოდი) 1 : 0 (1 : 0)

რუსთავი, 15 ივნისი. (ტელეფონით ჩვენი კორ.). გუშინ აქ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „მეტალურგი“ და კავმინვოდის „შრომითი რეზერვები“.

მასპინძლებმა წარმატებას უკვე მე-9 წუთზე მიაღწიეს: „შრომითი რეზერვების“ ერთ-ერთმა მცველმა უხეშად ეთამაშა ხელსაყრელ პოზიციაში გასულ ანთიძეს, რისთვისაც დაინიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა. პენალტის რეალიზება მიენდო გალოიანს, რომელმაც შეუცდომლად შეასრულა თავისი მისია — 1:0. მცირე ხნის შემდეგ სტუმრების კარი რეალური საშიშროების წინაშე იმყოფებოდა, მაგრამ „მეტალურგმა“ ვერ შეძლო კომბინაციის დაგვირგვინება.

მდგომარეობის გამოსწორება სტუმრებმა მეორე ტაიმის დასაწყისშივე სცადეს. მათ ძლიერად შეუტიეს მეტოქეს და რუსთაველთა მეკარე ადამოვმა თავგანწირულ ნახტომში გადაარჩინა კარი აშკარა გოლისგან.

შემდგომში „მეტალურგი“ კვლავ დაეუფლა ინიციატივას, მაგრამ ვერ გამოიყენა რამდენიმე კარგი მომენტი.

# „ბ“ კლასი

## „ალაზანი“ (გურჯაანი) — „უროჟაი“ (მაიკოპი) 0 : 0

გურჯაანი, 15 ივნისი. (ტელეფონით ჩვენი კორ.). 14 ივნისს მორიგი კალენდარული მატჩი გამართა გურჯაანის „ალაზანმაც“, რომელმაც თავის მინდორზე მიიღო მაიკოპის „უროჟაი“.

მასპინძლებს საგრძნობი უპირატესობა და, რაც მთავარია, რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ჰქონდათ მატჩის მსვლელობაში, მაგრამ არც ერთი მათგანი არ იქნა რეალიზებული. „ალაზანი“ დაჯერდა ფრეს—0:0.

## სსრ კავშირის თასზე

ფეხბურთში სსრ კავშირის თასის გათამაშებას გამოაკლდა მისი ერთ-ერთი ფავორიტი — როსტოვის არმიელთა გუნდი.

ეს მარცხი როსტოველებმა საკუთარ მინდორზე განიცადეს თასის მერვედფინალურ მატჩში ლვოვის თანაკლუბელებთან ანგარიშით 0:1. ერთადერთი გადამწყვეტი ბურთი 59-ე წუთზე გაიტანა ლვოველთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა სეკეჩმა.

აღსანიშნავია, რომ ლვოვის არმიელები „ბ“ კლასის გუნდებს შორის მონაწილეობენ უკრაინის I ზონაში, სადაც სადღეისოდ მეხამე ადგილზე იმყოფებიან. ეს მათი მეორე გამარჯვებაა „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდზე. მეთექვსმეტედფინალში მათ მოუგეს გორკის „ვოლგას“ — 3:1.

მორიგი მატჩები თასზე გაიმართება 17 და 19 ივნისს.

ფეხბურთის მიმოხილვა

## ოლიმპიდან ტოკიომდე

მომავალი ოლიმპიადის ორგანიზატორები 3 წლის განმავლობაში ეძებდნენ და სახავდნენ მარშრუტს „წმიდა ცეცხლის“ მისატანად იაპონიაში. მისი პირველდაწყებითი ვარიანტი, ე. წ. „აბრეშუმის გზა“ — გადიოდა ახლო აღმოსავლეთზე, ინდოეთზე, ჩინეთსა და კორეაზე (სქემაზე ეს ნაწილი პუნქტირითაა აღნიშნული). და სპეციალური ექსპედიციაც კი დაჭირდა, რომელიც ეცნობოდა ჰავას, მარშრუტის გზებსა და ადგილმდებარეობას. ექსპედიციამ თავის მოხსენებით ბარათში მთლიანად უარყო პირველი პროექტი — ცეცხლის ქვეითად მიტანა იაპონიაში მთელ წელიწადს და კოლოსალურ თანხებს მოითხოვდა. მაშინ გადაწყდა ოლიმპიური ცეცხლის ტოკიოში ჩატანა ათენიდან საჰაერო გზით...

უკვე დამტკიცებულ სქემაზე თქვენ ხედავთ ოლიმპიური თვითმფრინავის ტრასას. იგი დაიწყებს ფრენას 22 აგვისტოს, ე. ი. ოლიმპიადის დაწყებამდე 50 დღით ადრე.



## მოსკოვიდან ლენინგრადში

**ლენინგრადი,** 15 ივნისი. **(ტელეფონით).** მოსკოვში შეჯიბრების შემდეგ გდრ-ის, გფრ-ის, მექსიკის, ფინეთისა და სსრ კავშირის წყალში მხტომელები ლენინგრადს გაემგზავრნენ, რათა კიდევ ერთხელ მოესინჯათ ძალები. გუშინ ასპარეზობა დამთავრდა.

ორი დღის საინტერესო ბრძოლების შემდეგ ტრამპლინიდან ხტომაში გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა — თ. ფედოსოვამ და მ. საფონოვმა. კოშკურიდან ხტომაში ქალთა შორის პირველი იყო ხ. ლანცკე (გდრ), ხოლო ვაჟებში — გ. გალკინი (სსრკ).

## ორგზის აბსოლუტური ჩემპიონი

ფიზკულტურელის პარკის საზაფხულო აუზში დამთავრდა თბილისის პირად-გუნდური პირველობა წყალში ხტომაში. მასში მონაწილეობდნენ „დინამოს“, „ბურევესტნიკის“, „შრომითი რეზერვების“, სკა-სა და ქალაქის განათლების განყოფილების გუნდები.

განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად მე-11 სკოლის VIII კლასის მოსწავლე ელა კალიაგინას (მწვრთნელი — სპორტის ოსტატი ვ. ინწკირველი). მან გაიმარჯვა როგორც 3-მეტრიანი ტრამპლინიდან, ისე კოშკურიდან წყალში ხტომაში. მან ზედიზედ მეორედ მოიპოვა ქალაქის აბსოლუტური ჩემპიონის წოდება ქალთა შორის. ორი მეორე ადგილი მოიპოვა მისმა თანაგუნდელმა, მე-18 სკოლის მერვეკლასელმა რ. მარტიროსიანმა.

ვაჟთა შორის კოშკურიდან ხტომაში ქალაქის ჩემპიონობა მოიპოვა დინამოელმა სპორტის ოსტატმა ბ. პლევაკომ. ტრამპლინიდან ხტომაში პირველი ადგილი მოიგო სპორტის ოსტატმა ი. გუტიაკულოვმა („ბურევესტნიკი“).

შეჯიბრების პროგრამაში იყო პირველობის გათამაშება 3-მეტრიან ტრამპლინიდან ხტომაში მოზარდთათვის. გოგონათა შორის გაიმარჯვა 54-ე სკოლის მეშვიდეკლასელმა გ. ბუაჩიძემ, ჭაბუკთა შორის — დინამოელმა ლ. კაჩხანოვმა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს დინამოელებმა, მეორე ადგილზე არიან განათლების განყოფილების სპორტსმენები, ხოლო მესამეზე — „შრომითი რეზერვების“ წარმომადგენლები.

**ზ. კამენსკი,**
**სპორტის ოსტატი.**



„შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე უმძიმეს წონაში პირველი ადგილი დაიკავა ვ. სულაკაძემ.

სურათზე: ვ. სულაკაძის (მარჯვნივ) და გ. აბრამიას (ფოთი) შეხვედრის მომენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## 523 სმ — ახალი მსოფლიო რეკორდი

**სან-დიეგო** (კალიფორნია). ახალი მსოფლიო რეკორდი ჭოკით ხტომაში „დაიბადა“ ორი შესანიშნავი ამერიკელი მძლეოსნის — ჯ. პენელისა და ფ. ჰანზენის ორთაბრძოლაში. ორივემ ადვილად გადალახა 509 სმ. შემდეგ მეტოქეებმა „შეუტიეს“ 523 სმ სიმაღლეზე გადებულ თამასას. და აი, აქ შეწყდა მათი დუელი. მეორე ცდაზე პენელი ცუდად გადახტა, დაეცა და სერიოზულად დაშავდა. სანიტარულმა მანქანამ იგი საავადმყოფოში წაიყვანა. 23 წლის სტუდენტმა-სტომატოლოგმა ჰანზენმა მსოფლიო რეკორდი — 523 სმ — სრულ „სიმარტოვეში“ დაამყარა.

## ფეხბურთის ამბები

**გენუა.** აქ გამოცხადდა, რომ იტალიის პირველი ლიგის კლუბ „გენუას“ შემადგენლობაში შემოდგომიდან ითამაშებს შვეციის ნაკრების ცნობილი თავდამსხმელი ჰარი ბილდი. საყურადღებოა, რომ 1949 წლიდან მოყოლებული ჰ. ბილდი უკვე მეორმოცე ფეხბურთელია, რომელიც სამშობლოს ტოვებს და პროფესიონალი ხდება.

**სტოკჰოლმი.** შვეციის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა ამიერიდან მკაცრად დასაჯოს ის მოთამაშეები, რომლებიც ტრავმას მიაყენებენ მეტოქეებს. ამ ცნობის გამოქვეყნებისთანავე სანდბერგმა („იურგორდენი“), რომელსაც შვეციის ნაკრებში 52-ჯერ უთამაშია, ერთი თვით დისკვალიფიკაცია მიიღო სიმონსონის („ერგრიტე“) მწყობრიდან გამოყვანისათვის.

**ციურიხი.** ფიფა-ს პრეზიდენტმა ს. როუზმა (ინგლისი) და უეფა-ს პრეზიდენტმა გ. ვიდერკერმა (შვეიცარია) გამოაქვეყნეს ერთობლივი განცხადება, რომ ისინი მომავალში აღარ შეუწყობენ ხელს მსოფლიოსა თუ ევროპის ნაკრების შეხვედრას ამა თუ იმ ქვეყნის ეროვნულ გუნდთან, როგორც ეს წელს მოხდა (ფიფა-ს ნაკრები — ინგლისი, უეფა-ს ნაკრები — სკანდინავია), ვინაიდან ამგვარ მატჩებს არა აქვთ სპორტული მნიშვნელობა.

ორივე პრეზიდენტის სიტყვებით, უკანასკნელი იქნება ევროპისა და იუგოსლავიის ნაკრები გუნდების შეხვედრა, რომელიც ოქტომბერში გაიმართება მიწისძვრისაგან დაზარალებული ქ. სკოპლეს მცხოვრებთა დასახმარებლად.

## ამერიკელთა საშინელი „ნოკაუტი“

რიო-დე-ჟანეიროს საერთაშორისო ტურნირის დროს ინგლისის ფეხბურთელთა ნაკრების სათადარიგო შემადგენლობა ეწვია ნიუ-იორკს, სადაც ჩაატარა მატჩი აშშ-ს ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ.

ამერიკელი ფეხბურთელები არ გამოირჩევიან მაღალი ოსტატობით, მაგრამ 1950 წელს რიო-დე-ჟანეიროში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში სენსაციური გამარჯვება მოიპოვეს ინგლისელებთან — 1:0! მაშინ ამერიკელებს განთქმული შოტლანდიელი მწვრთნელი მ. ბასბი ედგათ სათავეში.

ახლა ინგლისელებმა ღირსეული რევანში აიღეს და მასპინძელთა კარში 10 „მშრალი“ ბურთი გაიტანეს.

## ნაკრებმა მოიგო

პარიზის მახლობლად, ქ. ვალანსიენში, 14 ივნისს საბჭოთა ფეხბურთელებმა თავიანთი ბოლო საწვრთნელი შეხვედრა ჩაატარეს ამავე სახელწოდების ადგილობრივ გუნდთან, რომელიც საფრანგეთის ჩემპიონატის I ლიგაში მონაწილეობს და გათამაშების ცხრილის შუაში იმყოფება.

მატჩს წვიმიანი ამინდი დაესწრო. ფრანგმა ფეხბურთელებმა პირველ ტაიმში ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს მეტოქეს და ფრედ დაამთავრეს იგი — 0:0. შესვენების შემდეგ საბჭოთა ფეხბურთელებმა საფუძვლიანად აიღეს ხელთ ინიციატივა და დაამარცხეს „ვალანსიენი“ ანგარიშით 3:0. ბურთები გაიტანეს გუსაროვმა, ჩისლენკომ და ვორონინმა.

სსრ კავშირის ნაკრები თამაშობდა ასეთი შემადგენლობით: იაშინი, შუსტიკოვი, შესტერნიოვი, ანიჩკინი, გლოტოვი, ვორონინი, ივანოვი, ჩისლენკო, გუსაროვი, პონედელნიკი, ჰუსაინოვი.

გუშინ ჩვენი გუნდი ესპანეთს ჩავიდა ევროპის თასის დასკვნით ეტაპზე მონაწილეობის მისაღებად.

„ბარსელონის მატჩზე ყველა 100.000 ბილეთი უკვე გაყიდულია, — წერს „ფრანს პრესის“ ბარსელონელი კორესპონდენტი. უკანასკნელი 25 წლის მანძილზე ბარსელონელები პირველად იხილავენ თავიანთ სტადიონზე საბჭოთა დროშას. და მთელი ქალაქი ახლა მხოლოდ ამაზე ლაპარაკობს“.

## სპორტული მოზაიკა

▲ **პარიზი.** 15 ივნისს იუნიორთა აქ მოწყობილ შეჯიბრებაზე 16 წლის გოგონამ კრისტინ კარონმა 100 მეტრზე ზურგზე ცურვაში აჩვენა 1 წუთი, 8,6 წამი. ეს შედეგი 0,3 წამით უკეთესია ამერიკელ დ. დე ვერონის მსოფლიო რეკორდზე. შეჯიბრების შემდეგ კარონმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ იგი ამ გაცურვაში აპირებდა ამას წინათ მის მიერ დამყარებული ევროპის რეკორდის გაუმჯობესებას, მაგრამ მისდა მოულოდნელად მსოფლიო რეკორდი დაამყარა. დაბოლოს, მან თქვა, რომ იმედი აქვს წარმატებით იბრძოლოს ტოკიოში ოქროს მედლისთვის.

▲ **ვინძორი** (ინგლისი). მარათონული რბენის ისტორიაში არნახული შედეგით დაამთავრა დისტანცია (ვინძორი — ჩიზვიკი) ცნობილმა ინგლისელმა სტაიერმა ბ. ხიტლეიმ. მისი შედეგია 2:13.55,0.

▲ **იორკი** (აშშ). ამერიკელმა საშუალო წონის ძალოსანმა რიკიმ ატაცში აჩვენა 147,5 კგ, რაც 1 კილოგრამით აღემატება ფინელი კალიარვიანენის მსოფლიო რეკორდს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი აცხადებს მიღებას მწვრთნელთა სკოლის I კურსზე

მწვრთნელთა სკოლაში სწავლების ვადა 3 წელია. კურსდამთავრებულები იღებენ საშუალო განათლებას და მწვრთნელის კვალიფიკაციას. **მწვრთნელთა სკოლაში მიიღებიან** სსრ კავშირის მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე, რომელთაც აქვთ არასრული საშუალო განათლება, კარგი ჯანმრთელობა, არანაკლებ II თანრიგი სპორტის არჩეულ სახეობაში.

**განცხადებათა მიღება იწარმოებს** 31 ივლისამდე (ჩათვლით).

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის რექტორის სახელზე არჩეული სპეციალობის ჩვენებით. განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) საბუთი განათლების შესახებ (დედანი),

ბ) ავტობიოგრაფია,

გ) სკოლის ან რაიონული პოლიკლინიკის ექიმის მიერ გაცემული სამედიცინო ცნობა № 286 ფორმის მიხედვით,

დ) 3 ფოტოსურათი (ზომა 3×4 სმ),

ე) ის პირნი, რომელთაც აქვთ მუშაობის სტაჟი არანაკლებ 2 წლისა, წარმოადგენენ ამონაწერს შრომის წიგნაკიდან, ხოლო კოლმეურნეები საკოლმეურნეო წიგნიდან ამონაწერს. საბუთი დამოწმებული უნდა იყოს წარმოების ხელმძღვანელის მიერ.

პირადად უნდა იქნას წარმოდგენილი დაბადების მოწმობა ან პასპორტი, სამხედრო ბილეთი ან მიწერითი ცნობა (სამხედრო ვალდებულთათვის).

**მისაღები გამოცდები ტარდება** პირველიდან 20 აგვისტომდე შემდეგ დისციპლინებში:

ა) ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი) — ქართულ სექტორზე შემსვლელთათვის; ბ) რუსული ენა და ლიტერატურა — წერა (კარნახი) და ზეპირი — რუსულ სექტორზე შემსვლელთათვის; გ) სპორტული მომზადება — სპორტის ნებისმიერი სახეობა, აგრეთვე ტანვარჯიში, მძლეოსნობა, ცურვა.

**გამოცდები ტარდება** სსრ კავშირის უმაღლესი და სპეციალური საშუალო განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამის მიხედვით.

მწვრთნელთა სკოლაში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით, სტიპენდიითა და სპორტული ფორმით დადგენილი წესის თანახმად.

ცნობების გაცემა წარმოებს სამდივნოში, — მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის პროსპექტი № 49.

„დინამოს“ სტადიონი

**ამხანაგური მატჩები ფეხბურთში**

16 ივნისს — „დინამო“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი)
სათადარიგო შემადგენლობანი. დასაწყისი 18 ს. 45 წ.

17 ივნისს — „დინამო“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი)
ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 20 საათზე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების—3-35-09.





საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 11212